585/
1988/2

ეროვნული ბიბლიოთეკა

ISSN 0203—2023

პროლეტარებო
ყველა
ქვეყნისა,
შეერთდით!

საქართველოს
საბჭოთა
სოციალისტური
რესპუბლიკის

№ 9

1988

# უმაღლესი საბჭოს
# უწყებები

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა


# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებები

**№ 9 (578) სექტემბერი 1988 წელი**


## შინაარსი

### განყოფილება პირველი


240. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის, ავტონომიური რესპუბლიკებისა და საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების საბიუჯეტო უფლებების შესახებ“ საქართველოს სსრ კანონში დამატებათა შეტანის თაობაზე.

241. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ა. ო. მოვსესიანის საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ.

242. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმთან არსებული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულებისა და დასახლებული პუნქტების სახელწოდებათა საკითხების კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ.


### განყოფილება მეორე


243. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ.

244. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. რ. ქ. ხიკუბას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

245. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება გაზეთ „ლენინსკოე ზნამიას" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

246. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება გაზეთ „ლენინსკოე ზნამიას" რედაქციის თანამშრომელთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

247. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

248. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ნ. პ. ვეკუას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

249. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

250. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. რ. ს. კაბისოვისათვის „საქართველოს სსრ უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

251. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. გ. ქ. ცერცვაძისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

252. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

253. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

254. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „საქართველოს სსრ უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

255. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. მ. ი. კობერიძისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

256. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ი. ს. მეიშვილისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

257. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. დ. გ. ოკრიბელაშვილისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

258. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. გ. გ. ღუღუნიშვილისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის" საპატიო წოდების მინიჭების შეახებ.

259. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებლის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

260. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

261. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება რესპუბლიკის კინემატოგრაფიის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

262. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „საქართველოს სსრ ტრანსპორტის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

263. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

264. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. დ. შ. გაბუნიასათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

265. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ა. ნ. ესაიაშვილისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

266. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ვ. ი. კახნიაშვილისათვის „საქართველოს სსრ სახალხო არტისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

267. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ზ. პ. რუხაძისათვის „საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

268. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ა. გ. ქანთარიასათვის „საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

269. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ჯ. შ. ჭყუასელისათვის „საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

## განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიის სხდომა.

კუბის რესპუბლიკის სახალხო ხელისუფლების ეროვნული ასამბლეის დელეგაცია საქართველოში.

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განყოფილება პირველი

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 240 „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის, ავტონომიური რესპუბლიკებისა და საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების საბიუჯეტო უფლებების შესახებ" საქართველოს სსრ კანონში დამატებათა შეტანის თაობაზე

„პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის და მომსახურების გაწევის კოოპერატივებში მომუშავე მოქალაქეთა დაბეგვრის, აგრეთვე ინდივიდუალურ შრომით საქმიანობაზე პატენტების გაცემის წესის შეცვლის შესახებ" სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1988 წლის 14 მარტის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

შეტანილ იქნეს „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის, ავტონომიური რესპუბლიკებისა და საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების საბიუჯეტო უფლებების შესახებ" საქართველოს სსრ 1961 წლის 27 დეკემბრის კანონში, კანონის 1985 წლის 7 დეკემბრის რედაქციით (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1985 წ., № 12, მუხ. 413), შემდეგი დამატებანი:

მე-9 მუხლის „დ" პუნქტს, მე-14 მუხლს, 35-ე მუხლის „დ" პუნქტს, 50-ე და 65-ე მუხლებს დაემატოს სიტყვები: „იმ შემთხვევების გარდა, როდესაც სსრ კავშირის კანონმდებლობა სხვას ითვალისწინებს".

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1988 წლის 21 სექტემბერი.
№ 1881—XI

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 241 ამხ. ა. ო. მოვსესიანის საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

განთავისუფლდეს ამხ. ალექსანდრე ოგანეზის ძე **მოვსესიანი** საქართვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოს სსრ ვაჭრობის მინისტრის თანამდებობიდან სხვა სამუშაოზე გადაყვანასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 26 სექტემბერი.
№ 1892—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

### 242 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმთან არსებული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულებისა და დასახლებული პუნქტების სახელწოდებათა საკითხების კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმთან არსებული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულებისა და დასახლებული პუნქტების სახელწოდებათა საკითხების კომისიის შემადგენლობა თანახმად დანართისა.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს „ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულებისა და დასახლებული პუნქტებისათვის სახელის დარქმევისა და გადარქმევის წესის შესახებ კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკის თაობაზე საქართველოს სს რესპუბლიკაში“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1979 წლის 27 დეკემბრის დადგენილების დანართი და „საქართველოს სს რესპუბლიკაში ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულებისა და დასახლებული პუნქტებისათვის სახელის დარქმევისა და გადარქმევის წესის შესახებ კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1979 წლის 27 დეკემბრის დადგენილების მე-3 პუნქტის შეცვლის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1984 წლის 26 ივლისის დადგენილება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 28 სექტემბერი.
№ 1895—XI

პარლამენტის ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის 1988 წლის 28 სექტემბრის
დადგენილების დანართი

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმთან არსებული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულებისა და დასახლებული პუნქტების სახელწოდებათა საკითხების კომისიის შემადგენლობა**

**კომისიის თავმჯდომარე**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

**კომისიის წევრები:**

აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე;

აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე;

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე;

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ეროვნებათშორისი ურთიერთობისა და მოსახლეობის ინტერნაციონალური აღზრდის საკითხების მუდმივი კომისიის თავმჯდომარე;

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებლების განყოფილების გამგე;

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის მოადგილე — ეროვნებათშორისი ურთიერთობის, ინტერნაციონალური და პატრიოტული აღზრდის სექტორის გამგე;

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველი;

საქართველოს მეწარმეთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე;

ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს უფროსი;

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველოს უფროსი;

ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი რედაქტორი;

გაზეთ „კომუნისტის" რედაქტორი;

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ა. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი;

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორი;

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი;

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის დ. გულიას სახელობის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი;

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი;

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი;

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრის გამგე;

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრის გამგე;

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე;

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრასთან არსებული ტოპონიმიკური კვლევის რესპუბლიკური ცენტრის — ტოპონიმიკის ლაბორატორიის ხელმძღვანელი;

რუსთაველის საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე;

საქართველოს საისტორიო საზოგადოების თავმჯდომარე;

სახელმწიფო გეოდეზიური ზედამხედველობის საქართველოს ტერიტორიული ინსპექციის უფროსი;

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საქმეთა მმართველი;

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საბჭოების მუშაობის საკითხების განყოფილების გამგე.

**კომისიის პასუხისმგებელი მდივანი**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საქმეთა მმართველის მოადგილე.

## განყოფილება მეორე

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 243 მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის" დაჯილდოების შესახებ

ხანძრის ჩაქრობისა და ადამიანთა გადარჩენის დროს გამოჩენილი გამბედაობის, მამაცობისა და თავგანწირვისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის" დაჯილდოვდნენ:

კარლენ მიგრანის ძე **ასლანიანი** — დამოუკიდებელი გასამხედროებული სახანძრო ნაწილის მეხანძრე, ქ. სოხუმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომან შოტოს ძე **გახოკიძე** — აფხაზეთის ასსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის განყოფილების დამოუკიდებელი გასამხედროებული სახანრძო ნაწილის უფროსი.

სერგი ნშანის ძე **გოჩიანი** — დამოუკიდებელი გასამხედროებული სახანძრო ნაწილის უფროსი მეხანძრე, ქ. სოხუმი.

ანდრონიკ ვლადიმერის ძე **დანელიანი** — აფხაზეთის ასსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახანძრო დაცვის განყოფილების დამოუკიდებელი გასამხედროებული სახანძრო ნაწილის ყარაულის უფროსი.

გრიგოლ ეფიმის ძე **მარმენშტეინი** — დამოუკიდებელი გასამხედროებული სახანძრო ნაწილის მოტორისტი, ქ. სოხუმი.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1988 წლის 27 სექტემბერი.

№ 1893—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 244 ამხ. რ. ქ. ხიკუბას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა, კომკავშირულ და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის აფხაზეთის ასსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრი ამხ. რაჟდენ ქსისის ძე **ხიკუბა** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1988 წლის 9 სექტემბერი.

№ 1877—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 245 გაზეთ „ლენინსკოე ზნამიას“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

საბჭოთა პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით მშრომელთა კომუნისტური აღზრდისათვის გაწეული ნაყოფიერი მუშაობი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სათვის გაზეთი „ლენინსკოე ზნამია“ დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1988 წლის 30 სექტემბერი.
№ 1903—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 246 გაზეთ „ლენინსკოე ზნამიას“ რედაქციის თანამშრომელთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მასობრივი ინფორმაციის ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით** დაჯილდოვდნენ:

ნიკოლოზ გიორგის ძე **მახარაშვილი** — გაზეთ „ლენინსკოე ზნამიას“ რედაქციის ლინოტიპის საამქროს ოსტატი.

ანატოლი ივანეს ძე **პალიანიჩკო** — გაზეთ „ლენინსკოე ზნამიას“ კორესპონდენტი.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1988 წლის 30 სექტემბერი.
№ 1904—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 247 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ცხინვალის მ. ს. ტუგანოვის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით** დაჯილდოვდნენ:

სალიმატ მიხეილის ასული **თიბილოვა** — პედაგოგი.

ფატიმა ალიხანის ასული **კალოევა** — პედაგოგი.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1988 წლის 30 სექტემბერი.
№ 1907—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 248 ამხ. ნ. პ. ვეკუას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მათემატიკის მეცნიერების განვითარებასა და სამეცნიერო კადრების მომზადებაში დამსახურებისათვის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის თბილისის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი ნიკოლოზ პეტრეს ძე **ვეკუა** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 30 სექტემბერი.
№ 1913—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 249 „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მშენებლობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის **„საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“** საპატიო წოდება მიენიჭოთ:

რამაზ ვალერიანის ძე **გოგიაშვილს** — საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის რესპუბლიკური გაერთიანება „საქაგრომშენის“ ტრესტ „საქსაკვებრემმშენის“ მთავარ ინჟინერს.

აპოლონ ვასილის ძე **ლაგვილავას** — საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის რესპუბლიკური გაერთიანება „საქაგრომშენის“ ჩხოროწყუს სამეურნეობათაშორისი სამშენებლო ორგანიზაციის თავმჯდომარეს.

გივი გრიგოლის ძე **ცინცაბაძეს** — საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის რესპუბლიკური გაერთიანება „საქაგრომშენის“ ტრესტ „საქსაკვებრემმშენის“ მმართველს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 9 სექტემბერი.
№ 1875—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

**250** ამხ. რ. ს. კაბისოვისათვის „საქართველოს სსრ უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი სასწავლო-აღმზრდელობითი და სამეცნიერო მოღვაწეობისათვის, მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებისათვის სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორს პროფესორ რუთენ სიმონის ძე კაბისოვს მიენიჭოს **„საქართველოს სსრ უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკის"** საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 9 სექტემბერი.
№ 1878—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

**251** ამხ. გ. კ. ცერცვაძისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ეკონომიკის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის თბილისის ტრიკოტაჟის საწარმოო გაერთიანება „გლდანის" მთავარ ეკონომისტს ამხ. გიორგი კირილეს ძე ცერცვაძეს მიენიჭოს **„საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტის"** საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 9 სექტემბერი.
№ 1876—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

**252** „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისა და მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებისათვის **„საქართველოს სსრ მეც-**

ნიერების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდება მიენიჭოთ:

ეთერ ნიკოლოზის ასულ **არჯევანიძეს** — თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორს.

გივი გიორგის ძე **მიქელაძეს** — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგეს, პროფესორს.

თამაზ გრიგოლის ძე **შავგულიძეს** — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს, პროფესორს.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი 3. კვარაცხელია.**

თბილისი, 1988 წლის 26 სექტემბერი.

№ 1887—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 253 „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო-პრაქტიკული საქმიანობისა და მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებისათვის **„საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის“** საპატიო წოდება მიენიჭოთ:

ცირა ივანეს ასულ **კარტოზიას** — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს პედიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ლაბორატორიის ხელმძღვანელს, პროფესორს.

ლეილა მიხეილის ასულ **ტყემალაძეს** — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ექსპერიმენტული და კლინიკური თერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის განყოფილების ხელმძღვანელს, პროფესორს.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი 3. კვარაცხელია.**

თბილისი, 1988 წლის 26 სექტემბერი.

№ 1885—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 254 „საქართველოს სსრ უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

უმაღლესი განათლების სისტემაში ხანგრძლივი ნაყოფიერი სასწავლო-აღმზრდელობითი და სამეცნიერო საქმიანობისათვის **„საქართველოს სსრ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკის" საპატიო წოდება მიენიჭოთ:

ნოდარ იოსების ძე კირვალიძეს — საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს საზოგადოებრივ მეცნიერებათა და აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს უფროსის მოადგილეს, პროფესორს.

ელენე ნიკოლოზის ასულ მისაბიშვილს — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის რუსული ენის კათედრის უფროს მასწავლებელს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 26 სექტემბერი.
№ 1886—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 255 ამხ. მ. ი. კობერიძისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი საინჟინრო საქმიანობისათვის ინსტიტუტ „თბილქალაქპროექტის" პროექტის მთავარ ინჟინერს ამხ. მზევინარ იოსების ასულ კობერიძეს მიენიჭოს „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის" საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 26 სექტემბერი.
№ 1888—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 256 ამხ. ი. ს. მეიშვილისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი საინჟინრო საქმიანობისათვის ამხ. იური სიმონის ძე მეიშვილს მიენიჭოს „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის" საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 26 სექტემბერი.
№ 1891—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 257 ამხ. დ. გ. ოქრიბელაშვილისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი საინჟინრო საქმიანობისათვის სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის თბილისის საწარმოო გაერთიანების მთავარ ინჟინერს — გენერალური დირექტორის პირველ მოადგილეს ამხ. დაზმირ გიორგის ძე **ოქრიბელაშვილს** მიენიჭოს **„საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“ საპატიო წოდება.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ქვარაცხელია.**

თბილისი, 1988 წლის 26 სექტემბერი.
№ 1890—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 258 ამხ. გ. გ. ლულუნიშვილისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო-საინჟინრო საქმიანობისათვის სსრ კავშირის გამოთვლითი ტექნიკისა და ინფორმატიკის სახელმწიფო კომიტეტის საქართველოს გამოთვლითი ტექნიკისა და ინფორმატიკის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების გენერალური დირექტორის მოადგილეს ამხ. გივი გრიგოლის ძე **ლულუნიშვილს** მიენიჭოს **„საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“** საპატიო წოდება.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ქვარაცხელია.**

თბილისი, 1988 წლის 26 სექტემბერი.
№ 1889—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 259 „საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებლის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობისათვის **„საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებლის“** საპატიო წოდება მიენიჭოთ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსუდან იოსების ასულ **ბაგაური** — ცხინვალის მ. ს. ტუგანოვის სახელობის სამხატვრო სასწავლებლის მასწავლებელს.

ხაზბი ლეონტის ძე **ზასეევს** — ცხინვალის მ. ს. ტუგანოვის სახელობის სამხატვრო სასწავლებლის მასწავლებელს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ᲒᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ᲙᲕᲐᲠᲐᲪᲮᲔᲚᲘᲐ.

თბილისი, 1988 წლის 30 სექტემბერი.

№ 1908—XI

## ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

## 260 „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲘᲡ“ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲬᲝᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲭᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

სახვითი ხელოვნების დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის **„საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრის“** საპატიო წოდება მიენიჭოთ:

გიორგი სარდიონის ძე **გაბარაევს** — ცხინვალის მ. ს. ტუგანოვის სახელობის სამხატვრო სასწავლებლის სპეციალური დისციპლინების მასწავლებელს.

აქხარ ალექსის ძე **კოზაევს** — ცხინვალის მ. ს. ტუგანოვის სახელობის სამხატვრო სასწავლებლის დირექტორს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ᲒᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. ᲙᲕᲐᲠᲐᲪᲮᲔᲚᲘᲐ.

თბილისი, 1988 წლის 30 სექტემბერი.

№ 1909—XI

## ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

## 261 ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲙᲘᲜᲔᲛᲐᲢᲝᲒᲠᲐᲤᲘᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲬᲝᲓᲔᲑᲐᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲭᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ქართული საბჭოთა კინოხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის რესპუბლიკის კინემატოგრაფიის მუშაკებს მიენიჭოთ საპატიო წოდება:

**„საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე“**

გიორგი ერმილეს ძე **გერსამიას** — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დამდგმელ ოპერატორს.

ზაალ აბესალომის ძე **კაკაბაძეს** — საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის სატელევიზიო ფილმების სტუდიის კინორეჟისორს.

ალექსანდრე პავლეს ძე **რეხვიაშვილს** — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დამდგმელ რეჟისორს.

მერაბ გრიგოლის ძე **სარალიძეს** — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მულტგაერთიანების რეჟისორს.

**„საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი“**

რამაზ დუტუს ძე **გიორგობიანს** — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ რეჟისორს, მსახიობს.

ზურაბ ვასილის ძე **ყიფშიძეს** — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მსახიობს .

ნინელი ნოდარის ასულ **ჭანკვეტაძეს** — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მსახიობს.

**„საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი“**

დიმიტრი ირაკლის ძე **ბილანიშვილს** — საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის მდივანს.

ლამარა ალექსანდრეს ასულ **ვისოცკაიას** — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ფერადი ნეგატივის უბნის უფროსს.

ლუსია ივანეს ასულ **თამრიზოვას** — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მემონტაჟეს.

გიორგი სერგოს ძე **თოლორდავას** — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მეორე შემოქმედებითი გაერთიანების დირექტორს.

ივანე ალექსანდრეს ძე **მაისურაძეს** — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ გამნათებელს.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1988 წლის 30 სექტემბერი.
№ 1910—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 262 „საქართველოს სსრ ტრანსპორტის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

კინემატოგრაფიის სისტემაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის „საქართველოს სსრ ტრანსპორტის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდება მიენიჭოთ:

გურამ არჩილის ძე **კუპრაშვილს** — კინოსტუდია „ქართული ფილმის“ სატრანსპორტო საამქროს უბნის უფროსს.

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიმიტრი ლეონტის ძე **მურვანიშვილს** — საქართველოს დოკუმენტური და სამეცნიერო-პოპულარული ფილმების კინოსტუდია „მემატიანის“ მძღოლს.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1988 წლის 30 სექტემბერი.

№ 1917—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 263 „საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მასობრივი ფიზიკური კულტურისა და სპორტის განსავითარებლად ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის **„საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკის“** საპატიო წოდება მიენიჭოთ:

გრიგოლ პიმენის ძე **დვალს** — საქართველოს სსრ „დოსააფის“ რესპუბლიკური სპორტულ-ტექნიკური კლუბის ინსტრუქტორ-მეთოდისტს.

ოთარ დავითის ძე **მდივანს** — უმაღლესი სპორტული დაოსტატების რესპუბლიკური სკოლის დირექტორის მოადგილეს.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1988 წლის 30 სექტემბერი.

№ 1911—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 264 ამხ. დ. შ. გაბუნიასათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი საინჟინრო საქმიანობისათვის საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის განყოფილების უფროსს ამხ. დავით შალვას ძე **გაბუნიას** მიენიჭოს **„საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“** საპატიო წოდება.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1988 წლის 30 სექტემბერი.

№ 1915—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 265 ამხ. ა. ნ. ესაიაშვილისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი საინჟინრო საქმიანობისათვის რესპუბლიკური გაერთიანება „საქაგრომშენის“ მეტროლოგიისა და შრომის დაცვის ტექნიკური ცენტრის სამმართველოს მთავარ ინჟინერს ამხ. ალექსანდრე ნოეს ძე **ესაიაშვილს** მიენიჭოს **„საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“** საპატიო წოდება.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1988 წლის 30 სექტემბერი.
№ 1914—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 266 ამხ. ვ. ი. კახნიაშვილისათვის „საქართველოს სსრ სახალხო არტისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ქართული საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის გორის გ. ერისთავის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს ვასილ ილიას ძე **კახნიაშვილს** მიენიჭოს **„საქართველოს სსრ სახალხო არტისტის“** საპატიო წოდება.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1988 წლის 30 სექტემბერი.
№ 1906—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 267 ამხ. ზ. პ. რუხაძისათვის „საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

რესპუბლიკაში მასობრივი სპორტისა და ფიზიკური კულტურის განსავითარებლად ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის განათლების მუშაკთა რესპუბლიკური სახლის მეთოდისტს ამხ. ზინაიდა პოლიკარპეს ასულ **რუხაძეს**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიენიჭოს „საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 30 სექტემბერი.

№ 1905—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

**268** ამხ. ა. გ. ქანთარიასათვის „საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ქართული საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში წვლილისათვის თელავის ს. ორჯონიკიძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მთავარ რეჟისორს ამხ. ალექსანდრე გიორგის ძე ქანთარიას მიენიჭოს „საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 30 სექტემბერი.

№ 1912—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

**269** ამხ. ჯ. შ. ჭკუასელისათვის „საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ფოლკლორული ხელოვნების დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის მთავარ დირიჟორსა და სამხატვრო ხელმძღვანელს ამხ. ჯემალ შერმადინის ძე ჭკუასელს მიენიჭოს „საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1988 წლის 30 სექტემბერი.

№ 1916—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განყოფილება მესამე

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა

29 სექტემბერს გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა. XIX საკავშირო პარტიული კონფერენციის მოთხოვნათა შესაბამისად სესიების მომზადებასა და ჩატარებაში, საბჭოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებაში დეპუტატთა ფორმირებების როლის ამაღლებისათვის თიანეთის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის მუშაობის შესახებ ინფორმაციით გამოვიდა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. გ. ბუჯიაშვილი.

აღინიშნა, რომ რაიონული საბჭოს სასესიო საქმიანობაში კვლავ შეინიშნება მთელი რიგი ნაკლოვანებანი. ბევრგან სესიები ძველებურად უღიმღამოდ, შაბლონურად ტარდება; ხშირად წარმოდგენილი მოხსენებები და თანამოხსენებები ზერელეა; კამათის მონაწილე დეპუტატთა უმრავლესობა გვერდს უვლის განსახილველ საკითხებს და იფარგლება სამეურნეო საქმიანობაზე ზოგადი მსჯელობით; სათანადო ყურადღება არ ექცევა საჯაროობას; გადაწყვეტილებათა პროექტები წინასწარ არ იხილება შრომითს კოლექტივებში და მოქალაქეთა კრებებზე; სესიებზე იშვიათად ისმენენ დეპუტატთა ჯგუფების, საგუშაგოების, ცალკეული დეპუტატების ანგარიშებს გაწეული მუშაობის შესახებ; მუდმივი კომისიების თავმჯდომარეების, დეპუტატების, დეპუტატთა ჯგუფების წინადადებანი არ აისახება სესიის გადაწყვეტილებაში. მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი სათანადო კონტროლის დაუწესებლობის გამო გათვალისწინებულ ღონისძიებათა ნაწილი განუხორციელებელი რჩება. დღემდე არ არის დანერგილი პრაქტიკაში სესიების გადაწყვეტილებათა შესრულების ღონისძიებათა გეგმის შემუშავება და მისი რეალიზაციის მიმდინარეობის თაობაზე წარმოება-დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელობის ანგარიშებისა და ინფორმაციების მოსმენა. ინტენსიურად არ გამოიყენება კონტროლის ისეთი ფორმა, როგორიცაა სესიებზე შეკითხვის წესით საკითხის დაყენება. რიგი ადგილობრივი საბჭოები და მათი აღმასრულებელი კომიტეტები თავიანთი საქმიანობის გარდაქმნისათვის სრულად არ იყენებენ არსებულ შესაძლებლობებს, სათანადოდ არ ზრუნავენ იმისათვის, რომ შრომითი კოლექტივები უზრუნველყოფდნენ სახელმწიფო გეგმების უთუო შესრულებას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა შესაბამისი დავალება მისცა თიანეთის სახალხო დეპუტატთა რაიონულ, სადაბო და სასოფლო საბჭოებსა და რესპუბლიკის ადგილობრივ საბჭოებს.

*

* *

სხდომაზე საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისა და სამართალდარღვევების აცილებაში საზოგადოებრივ ფორმირებათა როლის ასამაღლებლად დმანისის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის მუშაობის შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახებ მოსმენილ იქნა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. პ. გაჯიევის ინფორმაცია. აღინიშნა, რომ ადგილობრივმა ხელისუფლების ორგანოებმა გააძლიერეს ყურადღება სოციალისტური კანონიერებისა და საერთო ცხოვრების წესების განმტკიცების, საზოგადოებრივი წესრიგის, მოქალაქეთა კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვისათვის საზოგადოებრივ ფორმირებათა საქმიანობის გასააქტიურებლად.

ამასთან ითქვა, რომ ამ ფორმირებათა მუშაობის დონე ჯერ კიდევ სრულად არ უპასუხებს დღევანდელობის მოთხოვნებს, ქვეყანაში მიმდინარე გარდაქმნის, საზოგადოების დემოკრატიზაციისა და საჯაროობის ხასიათსა და სულისკვეთებას.

სერიოზული ნაკლოვანებები და ხარვეზები ახასიათებს ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების საქმიანობას. მათს მუშაობას აკლია სისტემურობა, მიზანმიმართულება და შედეგიანობა. სამართალდარღვევებთან ბრძოლაში ისინი სუსტად თანამოქმედებენ ადმინისტრაციულ ორგანოებთან, დეპუტატთა ჯგუფებთან, სხვა საზოგადოებრივ ფორმირებებთან. ნაკლებად გამოიყენება თავგამოჩენილ რაზმელთა მორალური და მატერიალური წახალისების ზომები, ბევრი ხარვეზია მათი სწავლების ორგანიზაციასა და მუშაობის მოწინავე გამოცდილების განზოგადება-გავრცელებაში.

მაგალითად, არასაკმარისად იყენებენ დმანისის საქალაქო, დიდი დმანისის, კამარლოს, ამამლოს, საკირის და სხვა სასოფლო საბჭოების ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების შესაძლებლობებს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევებთან ბრძოლაში. შედეგად აღნიშნული საბჭოების ტერიტორიაზე 1988 წლის პირველი ნახევრის განმავლობაში შარშანდელი წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით მკვეთრად გაიზარდა სამართალდარღვევათა რაოდენობა.

რაიონში შექმნილია და ფუნქციონირებს ლოთობასა და ავტოსაგზაო შემთხვევებთან მებრძოლი სპეციალიზებული რაზმეულები, მაგრამ, როგორც ფაქტები ადასტურებენ, მათი მუშაობის დონე და ეფექტიანობა არადამაკმაყოფილებელია. 1988 წლის პირველ ნახევარში დადგენილია საგზაო მოძრაობის სხვადასხვა დარღვევათა 720 შემთხვევა და დაკავებულია 58 მძღოლი, რომლებიც არაფხიზელ მდგომარეობაში მართავდნენ ტრანსპორტს. გარდა ამისა საზოგადოებრივ ადგილებში გამოვლენილ იქნა 43 მთვრალი, თითქმის ყველა მათგანი — მილიციის მუშაკთა ინიციატივით.

ლოთობასთან ბრძოლის არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობასა და ამ საქმეში ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების სუსტ მონაწილეობას ადასტურებს ისიც, რომ ამა წლის პირველ ნახევარში დანაშაულთა 50 პროცენტი ჩადენილია სიმთვრალეში.

უმნიშვნელოა სახალხო რაზმეულების როლი მუქთახორების დროულად გამოვლენასა და შესაბამისი ორგანოების მეშვეობით მათს დასაქმებაში. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ რაიონში რეგისტრირებულ დანაშაულთა 25 პროცენტი მათზე მოდის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვლავ არასაკმარისია ამხანაგური სასამართლოების როლიც მართლწესრიგის განმტკიცებასა და სამართალდარღვევათა აცდენაში. მათი უმრავლესობა დუნედ, ინერტულად და უინიციატივოდ წარმართავს მუშაობას. მაგალითად, სარკინეთის, ირგანჩაის, კიროვისის, დიდი დმანისის, გომარეთისა და სხვა სასოფლო საბჭოების ტერიტორიაზე მოქმედი ამხანაგური სასამართლოები იშვიათად იხილავენ საქმეებს თავიანთი ინიციატივით, არ ახორციელებენ სათანადო ზომებს სამრთალდარღვევათა პროფილაქტიკისათვის, აქტიურად არ მონაწილეობენ მოსახლეობის სამართლებრივი განათლების საქმეში. ასევე ნაკლებ ეფექტიანად მუშაობენ ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის, ჩაის საწონი ფაბრიკის, ავტოსატრანსპორტო საწარმოს, რაიკოოპკავშირის, კავშირგაბმულობის კვანძის და სხვათა ამხანაგური სასამართლოები. დმანისის რაიონის სახალხო სასამართლო არასაკმარის სამართლებრივ და მეთოდურ დახმარებას უწევს ამხანაგურ სასამართლოებს.

წესრიგის დაცვის მთელი რიგი საზოგადოებრივი პუნქტების (მუღანლოს, საკირის, ქვემო ოროზმანისა და სხვა საბჭოები) საქმიანობის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ეს ფორმირებანი არ იყენებენ მათთვის მინიჭებულ ყველა უფლებასა და შესაძლებლობას სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცების, მოქალაქეთა კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვისათვის. ეს ნაწილობრივ იმითაც აიხსნება, რომ რიგ ადგილობრივ საბჭოებში ჯერ კიდევ არ არის შექმნილი ნორმალური პირობები აღნიშნულ ფორმირებათა საქმიანობისათვის — არ არის გამოყოფილი შენობები, ინვენტარი, მოუწესრიგებელია სატელეფონო კავშირი და ა. შ.

ჯეროვანი მუშაობა არ ტარდება სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის საბჭოებში. მთელ რიგ შრომით კოლექტივებში (ირგანჩაის, კიროვისის, მუღანლოს მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობები და სხვ.) ეს საბჭოები არ არის შექმნილი, ხოლო არსებულთა აღმზრდელობითი და პროფილაქტიკური მუშაობა, განსაკუთრებით სამართალდარღვევებისადმი მიდრეკილ პირებთან, ხასიათდება ფორმალიზმითა და საქმისადმი ზერელე მიდგომით, ეპიზოდურობით.

საზოგადოებრივ ფორმირებათა მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებებისა და ხარვეზების ძირითადი მიზეზებია ის, რომ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები სათანადოდ არ აკონტროლებენ მათს საქმიანობას, არ უწევენ ყოველდღიურ პრაქტიკულ და სამართლებრივ დახმარებას, ნაკლებად ახდენენ მათი მუშაობის კოორდინაციას სამართალდამცველ ორგანოებთან, დეპუტატთა ჯგუფებთან, მუდმივ კომისიებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, არ უქმნიან საჭირო პირობებს ნორმალური საქმიანობისათვის, არ უზრუნველყოფენ შესაბამისი დებულებებითა და სამართლებრივი ლიტერატურით, ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ მათი მუშაობის მოწინავე გამოცდილების პროპაგანდას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სათანადო დავალება მისცა დმანისის და რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა ყველა რაიონულ საბჭოსა და მის აღმასკომს.

*

* *

მოისმინა რა ზუგდიდის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. ა. იზორიას და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მოქალაქეთა წერილებისა და მიღების განყოფილების ინფორმაციები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ საქალაქო საბჭოს აღმასკომი სათანადო აქტიურობას ვერ იჩენს „პარტიის XXVII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის მითითებათა შესაბამისად საბინაო მშენებლობის განვითარების, ბინების განაწილებაში საჯაროობისა და სოციალური სამართლიანობის პრინციპების დაცვისათვის საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა საბჭოების პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1987 წლის 18 ივლისის დადგენილების მოთხოვნათა შესასრულებლად.

დაევალა ზუგდიდის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს (ამხ. ა. იზორია):

მაღალი მომთხოვნელობით და მუშაკთა პასუხისმგებლობის გაძლიერებით აღმოფხვრას ამ დადგენილებაში აღნიშნული ნაკლოვანებები, რისთვისაც გაზარდოს აპარატის მუშაკთა, დეპუტატების, მუდმივი კომისიების, დეპუტატთა ჯგუფების, მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოების მონაწილეობა საბინაო კანონმდებლობის დაცვაში, ბინების განაწილებისას საჯაროობისა და სამართლიანობის პრინციპების დამკვიდრებაში;

სისტემატურად გააანალიზოს და საქალაქო საბჭოს სესიებზე პრინციპულად განიხილოს საბინაო პრობლემების გადაჭრაში წარმოება-დაწესებულებებისა და ორგანიზაციების როლი; სათანადო შეფასება მისცეს საბინაო მშენებლობის გეგმების და საცხოვრებელი სახლების სარემონტო სამუშაოების შესრულების მდგომარეობას; დასახოს საჭირო ღონისძიებანი გეგმების უთუო შესრულებისა და მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესებისათვის; მეტი ყურადღება დაუთმოს საცხოვრებელი ბინების სამეურნეო წესით მშენებლობას, კოოპერაციულ და ინდივიდუალურ ბინათმშენებლობას;

მიაღწიოს ორგანიზატორული მუშაობის გადაჭრით გარდაქმნას, მოქალაქეთა წერილობით და ზეპირ მიმართვებში დაყენებული საკითხების ოპერატიულად გადაწყვეტას, ამ საქმეში ფართოდ გამოიყენოს საჯაროობა, განახორციელოს ქმედითი კონტროლი ზემდგომი ორგანოებიდან მიღებულ და საკუთარ გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი;

სათანადო ღონისძიებების თანამიმდევრული განხორციელებით 2000 წლისათვის უზრუნველყოს ქალაქის მოსახლეობა კეთილმოწყობილი ბინებით.

საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტს, მშენებლობის, საბინაო-კომუნალური მეურნეობის და მსუბუქი მრეწველობის სამინისტროებს დაევალათ მეტი ყურადღება დაუთმონ ქ. ზუგდიდში საბინაო მშენებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობის გაფართოებას და მშრომელთა საბინაო-კომუნალური მომსახურების დონის ამაღლებას.

* * *

სხდომამ განიხილა საბჭოების მუშაობის საკითხების განყოფილების მოხსენებითი ბარათი „სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდების, მისი ხარისხის ამაღლებისა და ასორტიმენტის გაფართოებისადმი კონტროლის გასაძლიერებლად თბილისის კიროვის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის მუშაობის შესახებ".

პრეზიდიუმის სხდომაზე განხილულ იქნა სხვა საკითხებიც.

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სახალხო განათლებისა და კულტურის და ეროვნებათშორისი ურთიერთობისა და მოსახლეობის ინტერნაციონალური აღზრდის საკითხების კომისიების სხდომა

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სახალხო განათლებისა და კულტურის და ეროვნებათშორისი ურთიერთობისა და მოსახლეობის ინტერნაციონალური აღზრდის საკითხების კომისიების სხდომა, სადაც განიხილეს საკითხი „ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ბოლნისის, ლენინგორისა და წალკის რაიონების ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების შესახებ კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულების თაობაზე" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1982 წლის 25 ნოემბრის დადგენილების რეალიზაციის შესახებ. აღინიშნა, რომ საქართველოში ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვას მტკიცე სახელმწიფოებრივი საფუძველი აქვს. ყოველწლიურად მატულობს ძეგლთა რესტავრაციისათვის გამოყოფილი ფულადი სახსრები. 1988 წელს ამ თანხამ 7 მილიონი მანეთი შეადგინა.

ამასთან ერთად ითქვა, რომ ძეგლთა დაცვის საერთო სახალხო საქმიანობაში ხარვეზები აქვთ ადგილობრივ საბჭოებსა და სახელმწიფო ორგანოებს.

ადგილობრივი საბჭოები ხშირად გათვითცნობიერებული არ არიან თავიანთ უფლება-მოვალეობებში ამ მიმართებით, ჯეროვან მზრუნველობას არ იჩენენ და სათანადოდ არ წარმართავენ რაიონების საწარმოებისა და ორგანიზაციების, მოსწავლე ახალგაზრდობის, ფართო საზოგადოებრიობის საშეფო საქმიანობას ძეგლების დასაცავად; ჯერ კიდევ შეინიშნება ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვა-გამოყენების შესახებ კანონმდებლობის დარღვევის ცალკეული შემთხვევები.

ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველო ყოველთვის ვერ უზრუნველყოფს ისტორიისა და კულტურის სარესტავრაციო ძეგლების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და აღდგენით-სარესტავრაციო სამუშაოების ხარისხს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კომისიების მუშაობას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1982 წლის 25 ნოემბრის დადგენილების შესასრულებლად.

კომისიებმა აღნიშნეს, რომ ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის შესახებ კანონის შესაბამისად ძეგლთა მოვლა-პატრონობისათვის ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ბოლნისის, ლენინგორისა და წალკის რაიონების ადგილობრივი საბჭოების, მათი აღმასკომებისა და საზოგადოებრიობის მიერ გაწეულ საქმიანობაში გარკვეული ძვრებია.

განსაკუთრებით საყურადღებოა რაიონების მშრომელთა ძალისხმევა ძეგლთა დაცვის კონკრეტული საკითხების დაყენებისა და გადაწყვეტისათვის. მაგალითად, ახალქალაქის რაიონის სოფ. გოგაშენის მოსახლეობის ინიციატივით მიმდინარეობს გოგაშენის ეკლესიის აღდგენის სამუშაოები. ბოლნისის რაიონის რატევანის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობამ არა მარტო დასვა საკითხი ადგილობრივი მნიშვნელობის ძეგლის აღდგენის შესახებ, არამედ ამისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაც კი შეუკვეთა ძეგლთა დაცვის რესპუბლიკურ საზოგადოებასთან შექმნილ არქიტექტურულ-სარესტავრაციო კოოპერატივ „გონიოს".

ძეგლთა მოვლა-პატრონობისათვის გაწეული მუშაობით ამ ბოლო წლებში გამოირჩევა ლენინგორის რაიონი.

რესპუბლიკის მთელი რიგი სამინისტროები და უწყებები ყურადღებას იჩენენ აღნიშნული რაიონების ისტორიისა და კულტურის ძეგლების მიმართ. მაგალითად, საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს მიერ ძეგლთა დაცვის მთავარ სამმართველოსთან ერთობლივად შემუშავებული სიის მიხედვით 1988-1990 წლებში კეთილმოეწყობა ახალქალაქის რაიონის კუმურდოს, ლენინგორის რაიონის ყანჩაეთის კაბენის, არმაზისა და წირქოლის, ბოლნისის რაიონის წუღრუღაშენისა და „სიონის" ძეგლებთან მისასვლელი გზები.

1982 წლიდან დღემდე ძეგლთა დაცვის მთავარმა სამმართველომ ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ბოლნისის, ლენინგორისა და წალკის რაიონებში მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩაატარა. დამთავრებულია ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღრიცხვა-პასპორტიზაცია, რომელმაც გამოავლინა არქიტექტურის, მონუმენტური პლასტიკისა და კედლის ფერწერის მთელი რიგი ადრე უცნობი ძეგლები. მაგალითად, ლენინგორის რაიონში ადგილობრივ მხარეთმცოდნეობის მუზეუმთან ერთად ჩატარებული ერთობლივი ექსპედიციის შედეგად აღირიცხა და სახელმწიფო დაცვაზე იქნა აყვანილი 355 ძეგლი. ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს რესპუბლიკური ინსპექცია რეგულარულად ატარებს ძეგლთა მეთვალყურეების თათბირებს. სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობისათვის რამდენიმე ძეგლის მეთვალყურე განთავისუფლებულ იქნა სამუშაოდან.

სისტემატური ხასიათი მიეცა ძეგლების დაცვითი ზონების დადგენას. ზემოაღნიშნული ინსპექციის დროულად ჩარევის შედეგად ბოლნისის რაიონის სოფ. ქოშაქილისაში შუასაუკუნეების ძეგლთან ახლოს დაგეგმილი სკოლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშენებლობა შეჩერდა და ამისათვის სხვა ადგილას გამოიყო შესაფერისი ტერიტორია. ინსპექციამ შემოიღო მუშაობის ახალი ფორმა — რაიონული საბჭოს აღმასკომის სხდომებზე ძეგლთა დაცვის საკითხების განხილვა. ასეთი სხდომა ჩატარდა ახალქალაქისა და ბოგდანოვკის რაიონებში, რამაც კონკრეტული შედეგები გამოიღო.

მიღწევების მიუხედავად, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ბოლნისის, ლენინგორისა და წალკის რაიონებში ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის მდგომარეობა ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელია. ყველა სასოფლო საბჭო პასუხისმგებლობით არ ეკიდება ამ საქმეს. ახალქალაქის რაიონის ბარალეთის, კოჩიოს სასოფლო საბჭოები და ახალქალაქის საქალაქო საბჭო სისტემატურ მზრუნველობას არ იჩენენ ძეგლების მიმართ. ბოგდანოვკის რაიონის სოფ. საღამოში ძეგლებთან ახლოს აშენდა სხვა დანიშნულების დამხმარე სათავსოები. ბოლნისის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის უყურადღებობის შედეგად ქვეშის ციხესთან აიგო საცხოვრებელი სახლი, რამაც დაამახინჯა ძეგლის საერთო ხედი. წალკის რაიონის სოფ. ედიქილისაში შემორჩენილია გვიანი შუასაუკუნეების სასახლე, რომელიც საწყობადაა გადაქცეული.

კვლავ გრძელდება ძეგლთა ტერიტორიაზე და დაცვითს ზონებში უნებართვო მშენებლობა და მიცვალებულთა დაკრძალვა. სახელმწიფო დაცვაზე აყვანილი ყველა ძეგლი ჯერ კიდევ არ არის უზრუნველყოფილი დაცვითი ზონებით. ძეგლთა დაცვის საკითხები ჯეროვნად არ აისახება რაიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმებში.

ძეგლთა დაცვის მთავარ სამმართველოს წალკის რაიონში დიდი ხანია არ ჩაუტარებია სარესტავრაციო სამუშაოები. საქმიანი ურთიერთობა რაიონული საბჭოს აღმასკომთან პრაქტიკულად შეწყვეტილია. გაუმართლებლად ჭიანურდება ახალქალაქის რაიონის სოფ. კუმურდოს X საუკუნის ტაძრის რესტავრაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა და პრაქტიკული სამუშაოების დაწყება.

ხაზგასმით ითქვა, რომ საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა საქალაქო, რაიონული, სადაბო და სასოფლო საბჭოები, რესპუბლიკის შესაბამისი უწყებები არასაკმარისად მუშაობენ მოზრდი თაობის ინტერნაციონალური, იდეური და ესთეტიკური აღზრდისათვის, კულტურის ფასეულობათა მიმართ რესპუბლიკის თითოეული მოქალაქისათვის მზრუნველი დამოკიდებულების ჩასანერგად, ისტორიისა და კულტურის ძეგლების პროპაგანდისა და პოპულარიზაციისათვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის მნიშვნელობის განუხრელ ზრდასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სახალხო განათლებისა და კულტურის და ეროვნებათშორისი ურთიერთობისა და მოსახლეობის ინტერნაციონალური აღზრდის საკითხების კომისიებმა წინადადებანი მისცეს:

რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების შესახებ საქართველოს სსრ კანონის შესაბამისად ყურადღების ცენტრში იქონიონ მათს ტერიტორიაზე განლაგებული ძეგლების მოვლა-პატრონობის საქმე;

ძეგლთა დაცვის მთავარ სამმართველოსთან შეთანხმებით შეადგინონ პრაქტიკულ ღონისძიებათა გეგმა, რომელიც გაითვალისწინებს რაიონების მოსახლეობის, პირველ რიგში, მოსწავლე ახალგაზრდობისათვის ისტორიისა და კულტურის ძეგლების გაცნობას, მათი ინტერნაციონალური სულისკვეთებით აღზრდას, საშეფო მოძრაობის გაშლას;

უზრუნველყონ ძეგლთა დაცვითი ზონების შემოღობვა, არ დაუშვან იქ მიცვალებულთა დაკრძალვა და ახალი ნაგებობების მშენებლობა;

ჩაატარონ ახსნა-განმარტებითი მუშაობა მოსახლეობაში, რათა მიწის სამუშაოების დროს კულტურული ფენების ან არქეოლოგიური მასალის აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ შეწყდეს მუშაობა და ეცნობოს არქეოლოგიურ სამსახურსა და ძეგლთა დაცვის ორგანოებს აღნიშნულის თაობაზე;

სისტემატურად განიხილონ ძეგლთა დაცვასთან დაკავშირებული საკითხები აღმასკომის სხდომებზე და შედეგები გააშუქონ ადგილობრივი პრესის საშუალებით; ყოველმხრივ შეუწყონ ხელი ძეგლთა დაცვის სამსახურებს ძეგლთან დაკავშირებული სამუშაოების ჩატარებაში: მკაცრი კონტროლი გაუწიონ ძეგლთა მეთვალყურეების საქმიანობას;

ყოველი მომდევნო წლის იანვარში წარუდგინონ ძეგლთა დაცვის მთავარ სამმართველოს წლიური ანგარიშები ძეგლთა დაცვისათვის გაწეული მუშაობის შესახებ.

ბოლნისის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომს — საგანგებოდ განიხილოს ქვეშის ციხესთან საცხოვრებელი სახლის მშენებლობის საკითხი და მიღებული გადაწყვეტილება აცნობოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს შესაბამის კომისიებს.

ახალქალაქის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომს — მიიღოს ზომები კუმურდოს ტაძართან უკანონოდ აშენებული საცხოვრებელი სახლის ასაღებად; აღმოუჩინოს პრაქტიკული დახმარება ახალქალაქის არქეოლოგიურ ექსპედიციას მუშაობაში და მოაწესრიგოს ნაქალაქარის ტერიტორია.

ბოგდანოვკის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომს — საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად მოამზადოს საკითხი რაიონის ცენტრში მხარეთმცოდნეობის მუზეუმის შექმნის შესახებ და შედეგები აცნობოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სახალხო განათლებისა და კულტურის კომისიას 1989 წლის პირველ ნახევარში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ძეგლთა დაცვის მთავარ სამმართველოს (ამხ. ი. ციციშვილი):

უზრუნველყოს 1989-1990 წლებში სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოების დაწყება სათანადო ძეგლებზე ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ბოლნისის, ლენინგორის, წალკის რაიონებში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

1990 წლამდე უზრუნველყოს აღნიშნულ რაიონებში საკავშირო და რესპუბლიკური მნიშვნელობის ძეგლთა დაცვის ზონების განაშენიანებისა და ბუნებრივი ლანდშაფტის დაცვის ზონების შედგენის საკითხების დამტკიცება; რეგულარულად მოამზადოს პრობლემატური საკითხები რაიონული საბჭოს აღმასკომის სხდომაზე განსახილველად;

არ დაუშვას ძეგლთა სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოების უხარისხოდ ჩატარება.

რესპუბლიკის პროკურატურას (ამხ. ვ. რაზმაძე) — უზრუნველყოს ჯეროვანი ზედამხედველობა ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების შესახებ კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულებაზე.

საქართველოს პროფსაბჭოს ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკურ საბჭოს (ამხ. ა. ბურჯანაძე) — შეიმუშაოს მარშრუტები აღნიშნულ რეგიონებში შიდა რესპუბლიკური ტურიზმისათვის და აამოქმედოს ისინი 1989 წლის ტურისტულ სეზონში.

საქართველოს სსრ მშენებლობის სახელმწიფო კომიტეტს (ამხ. გ. მირიანაშვილი):

დაავალოს სახალხო დეპუტატთა შესაბამისი რაიონული საბჭოების აღმასკომების არქიტექტურულ სამსახურებს ახალი მშენებლობისათვის კულტურის ძეგლებთან არ დაუშვან მიწის ნაკვეთების გამოყოფა, საჭიროების შემთხვევაში დასკვნისათვის მიმართონ ძეგლთა დაცვის მთავარ სამმართველოს;

ძეგლთა დაცვის სამმართველოსთან ერთად უზრუნველყოს ისტორიული ქალაქების გენერალური გეგმებისა და დეტალური დაგეგმარების პროექტების გადასინჯვა-კორექტირება თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად.

საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს (ამხ. გ. ენუქიძე) — ახალგაზრდობის პატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდის გასაუმჯობესებლად რესპუბლიკის მრავალეროვანი რეგიონების სკოლებში, პროფტექნიკუმებსა და ტექნიკუმებში სსრ კავშირისა და საქართველოს ისტორიის სწავლებასთან ერთად შემოიღოს მხარეთმცოდნეობის კურსი გეოგრაფიის კურსის ფარგლებში; ამასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსთან (ამხ. ვ. ასათიანი), ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის მთავარ სამმართველოსთან (ამხ. ი. ციციშვილი), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტსა (ამხ. გ. მელიქიშვილი) და ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტთან (ამხ. თ. კიკნაძე) ერთად მოამზადოს, ფართოდ განიხილოს და 1989-1990 სასწავლო წლისათვის შესაბამისი რეგიონების სკოლებისათვის სწავლების ენებზე გამოსცეს მხარეთმცოდნეობის დამხმარე მასალები.

საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის რესპუბლიკურ საზოგადოებას (ამხ. ი. ციციშვილი) — გაშალოს მხარეთმცოდნეობითი მოძრაობა და თავისი პრეზიდიუმის 1990 წლის ერთ-ერთ სხდომაზე განიხილოს მდგომარეობა ამ მიმართულებით აღნიშნულ რეგიონებში.

№ 9
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა (ამხ. ო. ვარძელაშვილი) და საქართველოს სსრ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტს (ამხ. ო. ქვილითაია) — უზრუნველყონ ხარისხიანი საშენი მასალების — ცემენტი, ხე-ტყე და სხვ. გამოყოფა ძეგლთა აღდგენით-სარესტავრაციო სამუშაოებისათვის.

საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს (ამხ. ა. სანებლიძე), რესპუბლიკურ, საოლქო, საქალაქო და რაიონულ გაზეთებს — სისტემატურად გააშუქონ საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის პრობლემატური საკითხები.

მიღებულ იქნა ცნობად, რომ კომისიების მუშაობის პერიოდში საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება ქ. ახალქალაქის არქეოლოგიური ძეგლის ტერიტორიაზე — „ამირანის გორაზე“ დაგეგმილი სატელევიზიო ანძის მშენებლობის სხვა ადგილას გადატანის შესახებ.

## კუბის რესპუბლიკის სახალხო ხელისუფლების ეროვნული ასამბლეის დელეგაცია საქართველოში

27-29 სექტემბერს საქართველოში სტუმრობდა კუბის რესპუბლიკის სახალხო ხელისუფლების ეროვნული ასამბლეის დელეგაცია ასამბლეის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის სევერო აგირე დელ კრისტოს მეთაურობით, რომელიც ჩვენს ქვეყანაში მეგობრული ვიზიტით იმყოფებოდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მოწვევით. დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ კუბის რესპუბლიკის სახალხო ხელისუფლების ეროვნული ასამბლეის საერთაშორისო განყოფილების გამგე დეპუტატი პეს ფერერო, ასამბლეის ახალგაზრდობის, ბავშვთა საქმეებისა და ქალთა თანასწორუფლებიანობის მუდმივი კომისიის მდივანი ანა ისაბელ ალფონსო, კუბის საგარეო საქმეთა სამინისტროს სსრ კავშირის განყოფილების გამგე ხორხე მარტი და სხვა ოფიციალური პირები.

28 სექტემბერს დელეგაცია მიიღო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ პ. გილაშვილმა. საუბარში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს ენერგეტიკის კომისიის წევრი, სსრ კავშირის მძიმე, ენერგეტიკული და სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის მინისტრის მოადგილე ვ. პლისოვი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნ. ლაღიძე, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია, უმაღლესი საბჭოს დეპუტატები და სხვა ოფიციალური პირნი.

კუბელმა პარლამენტარებმა დაათვალიერეს დედაქალაქის ღირსშესანიშნაობანი, იყვნენ ცენტრალურ საკოლმეურნეო ბაზარში, მოინახულეს კულტურის ძეგლები ჯვარი და სვეტიცხოველი მცხეთაში, დაათვალიერეს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „თავთავი“ და სხვ.